



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 357

ქალაქი ქუთაისი 25 იანვარი 2017 წელი

ქალაქ ქუთაისში, დავით და კონსტანტინეს ქუჩის N9-ში არსებული საცხოვრებელი სახლის ფასადზე, სახალხო მეურნეობის დეპარტამენტი მუშაკის, შრომისა და ომის ვეტერანის, ალექსანდრე კვიციანიძის მემორიალური დაფის განთავსების შე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივების დროებითი საქალაქო კომისიის 2016 წლის 26 დეკემბრის სხდომის N66 ოქმის საფუძველზე:

**მუხლი 1.** განთავსდეს ქალაქ ქუთაისში, დავით და კონსტანტინეს ქუჩის N9-ში არსებული საცხოვრებელი სახლის ფასადზე, სახალხო მეურნეობის დეპარტამენტი მუშაკის, შრომისა და ომის ვეტერანის, ალექსანდრე კვიციანიძის მემორიალური დაფა, ოჯახის ხარჯებით.

**მუხლი 2.** მემორიალური დაფის ესკიზი და განთავსების ადგილი შეთანხმდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურთან.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი